



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**განკარგულება**  
**GEORGIA**  
**THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY**



განკარგულება:გ-135. 135243301  
 თარიღი:25/11/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ სოსო ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის საფუძველზე

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:**

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს **ფ/პ სოსო ჯაფარიძეს** (პ/ნ: 01017043500) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 42.06.39.701) აღნაგობის უფლებით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.
2. მიწის ნაკვეთის წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობაღიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

